წლიწადი მესამე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი გიორგი

«მორით მოსული ჩემს მამულში მკვიდრის ცხოვრებას . .
მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას . . .
ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას!
ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე ისმენდ ვაებას!»
გრ. ორბელიანი.

პარიზი
24 ნოემბერი 1928 წ.
№ 14

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

24 Novembre 1928
№ 14 Paris

თეთრი გიორგის პირველი ყრილობა.

ამა თვის 24-ს პარიზში გაიხსნება თეთრი გიორგის პირველი ყრილობა. ეს თარიღი ჩვენი ორგანიზაციისთვის ისტორიული მნიშვნელობისაა. უნებურად გვაგონდება ის დრო, როდესაც პირველად ჩაისახა ჩვენი ორგანიზაცია, მცირე—რიცხოვანი, როგორც ყოველი ახალი მოძრაობა, მაგრამ მტკიცე ნების—ყოფით და ძლიერი სულისკვეთებით.

ჩვენი მოწინააღმდეგენი მაშინვე ამოძრავდნენ და ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრეს. ეგრედ წოდებული მემარჯვენენი დიქტატურის საქართველოს თავზედ მოხვევას, «დემოკრატიისადმი» ღალატს და მემარცხენეობას გვწამებდნენ. ხოლო მეორენი ე. წ. მემარცხენენი «პროლეტარიატისადმი» ღალატს, ფაშისტობას და მემარჯვენეობას.

მაგრამ სინამდვილე ამტკიცებს, რომ საქართველოსთან ყველა არსებულ პარტიებზედ უფრო ახლო ჩვენი ორგანიზაცია სდგას.

ვინაიდან ჩვენ არც მემარჯვენენი ვართ და არც მემარცხენენი; ან უკეთ ერთიც ვართ და მეორენიც. ვინაიდან თუ ერის ინტერესები მოითხოვენ არც მემარჯვენეთა და არც მემარცხენეთა მიერ ნახმარ ან ცხოვრებაში გასატარებელ ზომებს არ უარვყოფთ. ჩვენთვის ვიწრო პარტიულ პრინციპებზედ მაღლა საქართველოს ინტერესები სდგანან.

სასაცილოა, როდესაც მემარჯვენეთაგან საქართველოში არ არსებულ «ბურჟუასა» და მემარცხენეთაგან ასევე ქიმერიულ ქართველ «პროლეტარიატის» წარმომადგენლობის და დაცვის ძახილი მოისმის.

ხოლო ნამდვილი ქართველი ერი კი, მისი შემადგენელი ნაწილებით: გლეხობა, ინტელიგენცია, მუშა და სხვა, რომელთაც ევროპის ბურჟუასა და პროლეტარიატთან საერთო თითქმის არაფერი აქვთ. ჩვენ მიერ რეალური საქართველოს დაცვამ, მისი ისტორიული გზის ალღოს აღებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ერთნიც და მეორენიც. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ისინი ჩვენს უდროვო სიკვდილს წინასწარმეტყველებენ და თან არავითარ საშუალებას არ ზოგავენ ჩვენს გასანადგურებლად.

მაგრამ, თეთრი გიორგი—ს ატეხილ ბრძოლაში უკან არ დაუხევია, ახალგაზრდული თავ-დავიწყებით ჰკვეთა მომხდურებს და გამარჯვებაც მას დარჩება. განვლილი სამი წელი ამის ცოცხალი მოწმეა.

სამი წლის შეუჩერებელ მუშაობას დღეს ჩვენი პირველი ყრილობით ვაგვირგვინებთ. ორგანიზაციის ზრდამ მისმა ახალ-ახალი ძალებით შევსებამ, წარმოშვა მოთხოვნილება, საქართველოს შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლის მეთოდების უფრო გარკვევით დანახვის, მის მეგობართა დარაზმვის ერთი დროშის ქვეშ. გათვალისწინება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის, მისი კულტურულ—ფიზიკურ—ეკონომიური ძალების, ცდა მათი მჭიდრო შეკავშირების და მათ არსებულ, დემაგოგების მიერ დათესილ უთანხმოებების მოსპობის და სხვა. ევროპის სხვა და სხვა კუთხის სასწავლებლებში მოსწავლენი, თუ ქარხნებში მომუშავე თეთრ-გიორგელები ამ ყრილობაზედ გაეცნობიან პირადათ ერთმანეთს, აზრთა გაცვლა—გამოცვლით და მეგობრობის დამყარებით. უფრო მეტი ხალისით და მეტი ნებ ყოფლობით განაგრძობენ სვლას იმ ძნელ გზაზედ, რომელიც ისტორიამ გვარგუნა: საქართველოს განთავისუფლება და აღორძინება.

ბედის მწარე დაცინვამ, თუ უფრო ძნელი, ეროვნული მოძრაობის შექმნილ ბელადთა სისუსტემ, ეროვნული ბრძოლის ასპარეზზედ სოციალისტებიღა დასტოვა.

საქართველოს თავისუფლებას და მის ეროვნულ ინტერესებს, ამ რამოდენიმე ხნის წინ მისი მაგინებელი «ივანე» დღეს. ხოლო ამავე საქართველოსათვის შეგინებულნი და ხალხის მოღალატეებათ მონათლულნი, მოდუნდნენ, დაჰკარგეს ენერგია და საქართველოს ისტორიული დროშა, (რომელიც ძალიან სუსტად ეპყრათ) გააგდეს ხელიდგან.

მაგრამ, მტრების თავზარ დასაცემად, ეს დროშა, მრავალ საუკუნეებში ქართველთ სისხლით ნაგანი, ქართველ ერის სიამაყე და ბედნიერება, ახალმა ძალამ, მედგარმა და მეუპოვარმა ასწია მაღლა.

დღეს ის ჩვენ გვაბარია და ახალგაზრდული ყიჟინით მოუხმობთ ყველა მებრძოლთ საქართველოსათვის, რომ განახლდნენ. განიბანნენ ეროვნების წმინდა წყაროში, ანებონ თავი ყოველგვარ პარტიობას თუ ე. წ. «პოლიტიკის გარეშე დგომას» და ამოგვიდგნენ მხარში, ამ დროშის დასაცავად.

ეს დროშავე იფრიალებს ჩვენს პირველ ყრილობაზედ, ჩვენი განმამტკიცებელი და შემაკავშირებელი.

ამავე დღეს გავიგონებთ ტანჯულ საქართველოს მიერ, ისტორიულ ქარტეხილში ამოძახილ სიტყვებს: «საქართველო უწინარეს ყოვლისა.

ვულოცავთ თეთრი გიორგის ამ მნიშვნელოვან ნაბიჯის გადადგმას, ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას და რკინისებურ ნებისყოფას საქართველოს აშკარა მტერთა თუ მის ცრუ დამცველთა სავალალოდ და გულ-გასაგმირად.

ი — შვილი.

«წინაპართ სისხლი აწ ჩვენ შორის არღა მდინარებს,
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვასარებს!»

გრ. ორბელიანი.

ყოველ დემოკრატიულ წყობილებაში მხოლოდ ერთი განსაზღვრული კლასი ბატონობს და მართავს საზოგადოების დანარჩენ ნაწილს. ამნაირ ბატონობის განხორციელება კი, შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების შემოქმედების ყოველ დარგში შეჭრით. დემ. სახელმწიფოს პოლიტიკა გაბატონდა მეცნიერებაზე, სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაზე, სხვა ხელოვნებაზე და ყოველივე ეს თავის ბატონობის გასამართლებლად შექმნილ ყალბ თეორიებს შეუგუა. ამით მან განზრახ, ფრთა შეჰკვეცა ადამიანის თავისუფალ აზროვნებას და აღმა ფრენას, რაც აუცილებელია შემოქმედების ყოველ დარგში. თვით პოლიტიკაში კი ადამიანის პიროვნება აქცია ხმის მიმცემ მანქანად და მოსყიდვის, დემაგოგიის და სხვა ბინძურ კომბინაციათა საშუალებით ზნეობრივათ და გონებრივათ გარყვნა და დაამცირა.

დემოკრატიიდან წარმოშვა სოციალისტური მოძრაობა, მისი ლოღიკური დასკვნა. სოციალიზმმა დემოკრატიის დესპოტიზმი უკიდურეს წერტილამდე მიიყვანა, უკიდურეს ბატონობისათვის უკიდურესი ზომაც იყო საჭირო და ამიტომ სოციალისტებმა ბურჟუაზიულ დემოკრატიის ციხეები ჩეკით და სიკვდილით სასჯელი, მასიურ ჟლეტით და ტერორით შესცვალეს. თუ ბურჟუაზიული რესპუბლიკა კმაყოფილდებოდა დანარჩენ კლასების დამონავებით სოციალისტებმა მათი სავსებით მოსპობა განიზრახეს. ყოველივე შემთხვევაში, სადაც კი გაბატონდნენ სოციალისტები, უპირველეს ყოვლისა ადამიანის თავისუფალი აზროვნება და მაშასადამე გონების და ნიჭის აღმაფრენა გასთელეს და მოსპეს.

ამნაირად, ბურჟუაზიულ და სოციალისტური დემოკრატია ადამიანის პიროვნებაზე სრული ბატონობაა და რომელიც ჰკლავს ყოველივე ინდივიდუალურ და ორიგინალურ შემოქმედებას.

ანტიურ საბერძნეთში ყველა დიდი მიღწევები მივიღეთ ორი დიქტატორის, პიზისტრატის და პერიკლეს დროს. პიზისტრატმა ჩაუყარა საფუძველი ათინის კულტურას და უდიდესი ლიტერატურულ—ფილოსოფიურ შემოქმედების ოდისეუსის და ილიადას შემდეგ დგენილი პოემები მან შეჰკრიბა და შეაერთა თხუზულებათ, რომლის ავტორათ ნემედას ჰომეროსი მიაჩნდა. პიზისტრატის შემდეგ, დიდი დიქტატორის პერიკლესის ბრძნულმა გამგეობამ შესაძლებელ ჰყო შექმნილიყვნენ ელადის ხელოვნების ის ნაშთნი და ფილოსოფიურ—მეცნიერული ნაწარმოებნი, რომლითაც დღესაც განცვიფრებულია კაცობრიობა. პერიკლე მფარველობდა და შემოქმედების გზას ფართოდ აძლევდა დიდ ხელოვანებს, როგორიც იყო ფიდიუსი და ფილოსოფოსთ, როგორიც იყვნენ სოკრატი და სხვანი. ხოლო დემოკრატიამ ცილი დასწამა და სიკვდილი მოუნდომა ფიდიუსს და გაბატონდა თუ არა პერიკლეს შემდეგ. სიკვდილით დასაჯა სოკრატი, რომელიც იყო სული და კვინტ-ესენცია ელინიზმისა.

თვით ელინური ცივილიზაცია დემოკრატიამ კი არა, იმპერატორმა ალექსანდრე მაკედონელმა გაიტანა და მოსდო აღმოსავლეთს, ამიტომაც ელინურ და აღმოსავლეთის ცივილიზაციებმა შესძლეს შედუღება, რამაც წარმოშვა სინტეტიური ცივილიზაცია ელინურ ცივილიზაციათ წოდებული. აღმოსავლეთმა ბევრ საუკუნეთა განმავლობაში ისაზრდოვა ამ ელინიურ ცივილიზაციით.

თვით რომი, მეფეებმა შეჰქმნეს და მათ თავის კანონმდებლობით ჩაუყარეს საფუძველი, როგორც რომის სახელმწიფოს და გრანდიოზულ სამართლის სისტემას, აგრეთვე რომაელთა კულტურას. შემდეგში, იმპერიის დროს, რომის დიდმა იმპერატორებმა მთელს ევროპას, აზიას და აფრიკას მოსდეს რომის ცივილიზაცია, სადაც აღაგეს მდიდარი და მშვენიერი ქალაქები, გაიყვანეს დღემდის დარჩენილი გზები, არხები, აშართეს უდიდესი ამფითეატრები და სხვა. მაშინ როდესაც რომის რესპუბლიკის ჯარის მთავარ სარდალმა სციპიონ აფრიკელმა დემოკრატიის და პლებს ცნობილ ტრიბუნი გრაკხის თანხლებით და რესპუბლიკანურ მთავრობის ბრძანებით დაანგრია, დასწვა და მიწასთან გაასწორა უდიდესად კულტუროსანი ქალაქი კართაგენი. ჩვენ არ გვინდა ამით ვსთქვათ რომ მონარქიულ ან სხვა რეჟიმებში დესპოტიზმს ადგილი არ ჰქონდეს. თვით რომში ტარკვინიუს ამაყის, ნერონის და კალიგულას მაგალითები საკმარისია.

განა აღორძინების ხანის, იმ ხანის, რომელმაც ძირიანად გარდაქმნა და გადაახალისა ევროპის ცივილიზაცია და კულტურა, განხორციელება შესაძლებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში? არა და არა. მისი ჩასახვა განვითარება და შემოქმედება მოხდა ვატიკანის, ფლორენციის მფლობელთა მედიჩების, მილანის მთავრის სფორცას და მათ სხვა მთავართა კარშემო და მათი ხელშეწყობით.

შორს რომ არ წავიდეთ დღეს ჩვენს თვალწინ ვინ იხსნა ევროპა და კაცობრიობა სოციალისტურ ბოლშევიკებისაგან? რა თქმა უნდა არა დემოკრატიამ, რომელმაც თვით წარმოშვა ეს ბარბაროსები, არამედ დემოკრატიის ანტითეზისმა —ფაშიზმმა. და ეს უდიდესი შემოქმედება ფაშიზმმა განახორციელა ისე, რომ არც ერთი სოციალისტი ან კომუნისტი სიკვდილით არ დაუსჯია. ამაშია მთელი ძალა და მშვენიერი სიდიადე ფაშიზმისა.

და აი, ბატონებო, ჩვენი სოციალისტები, რომელნიც რუსის ნიჰილისტების კარიკატურები არიან და ჩვენი «მეპორუსკე» დემოკრატები, რომელნიც რუსის მემარჯვენე ინტელიგენციის კარიკატურები გახლდნენ, დღესაც კი, სურთ ჩვენში დემოკრატია გააბატონონ. საუბედუროდ ის ფანატიური რწმენა განყენებულ იდეებისადმი, მისი უკრიტიკოდ მეთვისება, დოგმის გაღმერთება და ფეტიშად ქცევა, რომელიც რუსულ ფსიქოლოგიას ახასიათებს ჩვენმა მამა-მთავრებმა საქართველოში გადმონერგეს და ქართველ ახალგაზრდობა'ს თავს მოახვიეს.

ჩვენ კი ვეუბნებით ქართველ ახალგაზრდობას და საზოგადოებას: თუ დემოკრატიზმმა ევროპაში ვერ შესძლო საბოლოოდ აენგრია საზოგადოება, ეს იმიტომ, რომ ევროპის ერები აღჭურვილნი არიან უდიდეს ეროვნულ შეგნებით და საშიშროების მომენტში დემოკრატიულ კატასტროფას მედგრად დაუპირდაპირდნენ. მათ ჰპოვეს თავის ორგანიზმში საჭირო ძალა და შეგნება განსაცდელის თავიდან აშორებისა და დაადგნენ თვით დემოკრატიის გარდაქმნის გზას, რაც ზოგიერთ ქვეყნებში კიდეც შესრულდა და დანარჩენებში განხორციელების გზას ადგია.

ჩვენში, სადაც ხალხს მეტად შერყეული აქვს ეროვნული შეგნება, დიდის ხნის მონობის შემდეგ, სადაც ეროვნულ მისწრაფებათა და მიზანთა გარკვეული გზა არ

არსებოვს, დემოკრატიის განხორციელება უდრის ქართველი ხალხის დაცემას.

საქართველოში დემოკრატიული რეჟიმი მუდამ სოციალისტების ბატონობა იქნება; ეს აუცილებელია. და ეს უნდა შეიგნოს ჩვენმა საზოგადოებამ, თუ სურს მას მარქსისტულ ექსპერიმენტებისაგან თავის დაღწევა.

საქართველოს არ არგებს სხვის გზაზე სიარული. მისთვის არც სხვის დემოკრატიზმი, არც სხვის ფაშიზმი მისაღები არ არის. მან თავის რეჟიმი და სახელმწიფო თავის საკუთარ ფიზიონომიის დაგვარად უნდა გამოსჭედოს და არ გადმოიღოს უცხოეთიდან, როგორც ეს ქმნეს ჩვენმა სოც. დემ. და ნაც. დემ. როდესაც ერთხმათ საქართველოში შვეიცარიის კონსტიტუციის შემოღებას მისცეს ხმა.

ქართველმა ხალხმა თავისი სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური წყობილება უნდა დაამყაროს ეროვნულ რეალობის და ორიგინალობის ნიადაგზე.

ჩვენმა ერმა ერთ-ერთ მისაღებ ეროვნულ გზაზე უნდა იაროს. ეს გზა კი არის მხოლოდ და მხოლოდ თეთრი გიორგის გზა.

«ესრეთ სარცხვინო შიშითა ვინ იყო მაშინ მლეული?
ტყვეობას ვის არ ერჩივნა სიკვდილი მამაცეული»?

გრ. ორბელიანი.

მოლიპული გზით.

საქართველოს სოციალისტებმა, მარქსიზმის ორი ფრთის ბრძოლის მოედნად გადააქციეს.

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც წითელ ნიღაბ წამოფარებული რუსეთი გვესეოდა, როდესაც 19 თებერვალს, სოღანლუღის თხრილებზედ მოტანილი მძლავრი იერიში, ისე ბრწყინვალედ იქმნა მოგერიებული, რომ ჩვენმა ბეცმა მენშევიკებმა საბოლოო გამარჯვებად გამოაცხადეს. აი მაშინ მათმა ბელადმა რიხიანად გამოაცხადა: «დღეს სოღანლუღთან საბოლოოდ დაამარცხა ბოლშევიზმი, მენშევიზმმა-ო». მართალია, როდესაც საზღვარ-გარეთ გამორბოდა «დამარცხებულ ბოლშევიზმის» მიერ გამოდევნილი, ტონი შესცვალა და ქართველებს «ერეკლე მეფის ხმლის ამოღება» ურჩია უკვე რუსეთის წინააღმდეგ, რადგან მენშევიკური ხმალი ბლაგვი აღმოჩნდა ერის დასაცავად, მაგრამ გვიან და იყო...

არა მგონია მენშევიკების და საერთოდ სოციალისტების ამალაში ბევრს ესმოდეს საბოლოო მიზანი მათი იდეისა. ხშირად დაგიწყებენ მტკიცებას თანამედროვე წესების უვარგისობაზედ, საშინელ მონობაზედ, ზნეობრივ დაქვეითებაზედ და სხვა, მაგრამ რა არის მათი მიზანი, რა საშუალებით შეიცვლიან არსებულ წეს-წყობილებას თვითონაც ბუნდათ ესმით, ან არ სურთ გაგება.

«არიან ბევრი მატყუარები, ამბობს ლებონი, რომელნიც აჯერებენ ხალხს სოციალისტური სისულელეების განხორციელების შესაძლებლობას. ეს არამზადები ფიქრობენ, რომ ისინი ისე ხანგრძლივ იცოცხლებენ, რომ შესძლებენ თავისი პოპულიარობის ნაყოფით დატკბობას, ხოლო იმ დროისათვის კი, როდესაც მათი სიცრუვე გამოაშკარავდება, როდესაც გამოირკვევა მთელი საშინელება მათ მიერ დათესილისა, ისინი იმ ქვეყნად იქნებიან. ამ რიგად ისინი არაფერს ჰკარგავენ»

ყოველი სოციალისტი სცდილობს, რაც შეიძლება მეტი ბუნდოვნობა, მეტი სიბნელე და საიდუმლოება შეიტანოს თვის მოძღვრებაში, რომ მით უფრო მეტი შთაბეჭდილება დასტოვოს ხალხზედ, დააბრმავოს ის და მეტი ინტერესი აღუძრას ამ საიდუმლოებით მოცულ მოძღვრებისადმი.

ისინი ადვილად ეგუებიან ყოველ ახალ მოვლენებს, თუ გინდ ეს მოვლენები მათ პირდაპირ წინააღმდეგობასაც წარმოადგენდნენ.

თავისი პოზიციის სისწორეს არასოდეს ნათელი საბუთებით და საღი მსჯელობით არ ამტკიცებენ, არამედ ხალხზედ მგრძნობიარობის მოგვრის ანგარიშით. ეს ხრიკები იეზუიტურ მოძღვართა მიერ ცნობილ არიან, აქ მათ ახალი არაფერი უთქვამთ.

მგრძნობიარობა, ეს ისეთი სუსტი ადგილია ხალხის, რომ მის გავლენის ქვეშ, მას შეუძლია თვალის დახამხამებაში ყველაფერი დაანგრიოს, გაანადგუროს, მაგრამ იმავე თვისების გამო, იგი ტაშს დაუკრავს მას ვინც პირველი შეუდგება მის მიერ დანგრეულის აშენებას.

ბევრს და მათ შორის ყველა ჩვენ სოციალისტებს, ვინც მინისტრის სკამი იგემა, ან ვისაც აქვს იმედი, ათასი ხრიკების საშუალებით ამ ადგილის დაკავებისა, სწამთ სოციალიზმი ან დარწმუნებული ჰყავთ თავისი თავი, რომ სწამთ ისევე ღრმად, როგორც ფანატიკ მორწმუნეთ თავისი სარწმუნოება, სამწუხარო ისაა მხოლოდ, რომ მიუხედავათ ამდენი «ექსპერიმენტებისა», რომელიც ტანჯულმა საქართველომ თავის სხეულზედ გადაიტანა, მათ თავისი პირადი ინტერესებისათვის დღესაც კი ბრმად სწამთ ეს სოციალური მოძღვრება.

სოციალიზმისადმი ბრმა რწმენამ შეჰქმნა რუსეთში ჩეკა, ხოლო საქართველოში, ამ უდაბნოში ნაპოვნ «სოციალისტურ ოაზისში», რომელზედ დასაწაფებლადაც ჩვენი მენშევიკები ყველა სოციალისტებს ეპატიჟებოდნენ, შეიქნმა «ოსობი ოტრიადი»-ც ჩეკასავით გამოაკრავდა სიებს დახვრეტილ მამულიშვილებისას, მხოლოდ ჯვანტალიანის მაგიერ ალგად რამიშვილის ხელის მოწერით.

რატომ? იმიტომ რომ ერს არ შეუძლია მოითმინოს კაბინეტში შექმნილი წყობილება, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს მის წარსულთან, რომელზედაც მტკიცედ არის გადაჯაჭვული მისი აწმყო და მომავალი.

ცხადია, სოციალისტები, თუ გინდ მხოლოდ პრინციპის გულისთვის შეეცდებოდნენ საქართველოს «სოციალისტურ ოაზისი»-ს სახით შენახვას და იარაღით დაიცავდნენ თავის ტკბილ ბატონობას.

განა მათი სიტყვების კორიანტელისაგან ეს აშკარად არ სჩანს?

რომ წაიკითხოთ ემიგრაციაში გამოსული მენშევიკური ლიტერატურა, ერთად-ერთ აზრს გამოიტანთ: სცდილობენ დამტკიცებას, ისევ ხალხის მგრძნობიერობაზედ მოქმედებას, რომ მათზედ უკეთესი პატრიოტი, მეტი სამშობლოს მოყვარული არც ყოფილა ვინმე და არც არის. ეს აზრი ხომ მხოლოდ მაშინ განავითარეს, რა ბატონობის სიტკბო იგემეს? ნუ თუ ასე ჩქარა დაივიწყეს მათმა მიმყოლებმა, რომ იგივე ხალხი, ამ იდეის მატარებელთ იარაღით და «ყასბის დანით» სდევდნენ დასახოცად? კაცის ჭამიების სახელით ნათლავდნენ? რა მოხდებოდა, რომ ამ შარა გზაზედ მყვირალებისათვის კალმის მაგიერ იარაღი მიეცა ხელში, მაშინ ხომ იარაღით შეეცდებოდნენ ყველას დარწმუნებას, რომ ყველაფერი ისეა, როგორც თვითონ ამბობენ და არა ისე, როგორც სინამდვილე ამბობს?!

სინამდვილე კი მწარედ უგრეხს კისერს სოციალისტებს.

ისინი იბრძვიან არსებულ წყობილების წინააღმდეგ, სურთ მისი დამხობა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვით დაიკავონ მისი ადგილი და ეს სოციალიზმის სახელით «მათ სურთ ღარიბი მიუსიონ მდიდარს, ხოლო ნაყოფი ამ ომისა იქნება გამარჯვება დამარცხებულისა. თემურიც და ჩინგიზ-ხანიც ასევე იქცეოდნენ.» ამბობს გუალეი. განმარტება ზედ-მეტია! ბოლშევიკებმა საუცხოვო მაგალითი მოგვცეს ამ მოსაზრების გამართლებისა.

ჩვენ ყველა სოციალისტურ მოძღვრებას ერთად ვაქცევთ, რადგან მიზანი ყველასი ერთია: სოციალიზმი. განსხვავება მხოლოდ საშუალებებშია.

მკითხველს შეუძლია გაიკვირვოს: «ნუ თუ შეიძლება არსებობდეს ისეთი განსხვავება და მტრობა, საშუალებების გამო, როგორც ბოლშევიკებსა და ქართულ მენშევიზმს შორის არისო?» მაგრამ საჭიროა კარგად გარკვევა, რომ მენშევიკურ სიტყვასა და საქმეს შუა დიდი განსხვავებაა. არავინ უწყის, რა ხდება კულისებს იქით.

ამასთანავე, რასაკვირველია, საჭიროა ფსიქოლოგიის კარგად ცოდნაც ამის გამოსარკვევად. მათთვის ბოლშევიკების ბატონობით შელახულია არა ეროვნული, არამედ მხოლოდ პირადი და პარტიული თავმოყვარეობა. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ მათთვის ჩვეულ დიდი ხელოვნებით ფარავენ ამას, ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის ფარდით, მაგრამ ფარდა თან და თან ცვდება და ნამდვილი სახით სდგებიან ჩვენს წინაშე. განა გაბუტვა არ მართებთ ორჯელ პატრონობა ჩამწარებულთ? ჯერ რუსეთში და მერე პატარა საქართველოში, სადაც ჯუღელის თქმით: «ჩვენი კაცი» გალიაში მომწყვდეულ არწივივითა ებრძოდა თავს, ყველა მენშევიკს ხომ თავისი თავი პატარა არწივად ჰყავდა წარმოდგენილი და უცბად ყველანი «ჩვენი კაცი»-ანად აბუზულ ბეღურებად იქცნენ. მაშ საწყენი არ არის?

მაგრამ დავიხმაროთ ისევ ცნობილი ფსიქოლოგი ლებონი, აი რას ამბობს ის: «არ შეიძლება იყო სოციალისტი და არ გრძნობდე ზიზღს ვისმესადმი ან რაიმესადმი. მათ ეჯავრებათ თანამედროვე საზოგადოება, მაგრამ უფრო მეტად სძაგთ ერთმანეთი».

განა საკმაოდ არ აშუქებს მთელ დავას ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შუა ეს უბრალო დახასიათება ყველა სოციალისტებისა?

ჩვენი სოციალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სიმულმილში ესენი ხალასი სოციალისტები არიან. მათ სძაგთ არამც თუ ერთმანეთი, არამედ თავის სამშობლოს ისტორიაც, მისი წარსულიც, მაგრამ ელაქუცებიან არსებულს, თითქოს უწარსულოდ შესაძლებელი ყოფილიყოს მისი არსებობა. ელაქუცებიან, რადგან კიდევ ბატონობის განახლებას ელიან. მისგან მერე «წითელი მოსკოვის» შექმნას, რომელშიაც ყოველი ქვეყნის დევნილი სოციალისტი შეაფარებს თავს. გამოდიოდა, საპროპაგანდო ლიტერატურით აღიჭურვებოდა და არა ლეგალურად ესტუმრებოდა თავის ქვეყანას...
მათ კიდევ უფრო მეტად სძაგთ ბუნებიდან თან დაყოლილი ნიჭი, სცდილობენ ყოველთვის მის დამდაბლებას, მიწასთან გასწორებას, თუ არა და ისევე მოშორებას გზიდგან, როგორც ილია ჭავჭავაძე მოიშორეს თავიდგან.

«ასეთი მტრობა სოციალისტებისა გონებრივ ნიჭისადმი საკმაოდ საფუძვლიანია, რადგან სწორედ ეს ნიჭი იქნება მუდმივ დაბრკოლებად, რომელზედაც დაიმსხვრევიან სოციალისტების იდეები». ამბობს იგივე ლებონი.

განცვიფრებაში მოდიხარ კაცი, როდესაც ევროპის სოციალისტებს აკვირდები. საიდან შეიძლებოდა ამ ნერგის ჯერ რუსეთში დამახინჯება, რუსული სულით გაჟღენთა და მერე საქართველოში გადმოტანა და იქ მყნობა?...

ამ სოციალიზმის მთავარ ბურჯს ხომ შეადგენენ: 1) ნახევრად განათლებული ე. წ. ხალხი, რომელიც ცხოვრებას მხოლოდ სოციალისტური ლიტერატურით იცნობს.

2) პროფესიონალური პოლიტიკოსები, რომელნიც მასიურად დაძრწიან და გაძღომის იაფ საშუალებას ეძებენ.

3) მუშები, რომელთა შორისაც სტატისტიკური გამოკვლევით უმრავლესობა არის უოჯახო, უბინაო, მარტოხელა, არავითარ საშუალების მქონე. მოკლედ მოგინადრე, რომელიც ისტორიის ყველა ეპოქებში საზოგადოების დამანგრევ ელემენტად ითვლებოდა.

«თუ პარიზის მუშას აქვს იდეალი, ამბობს ლებონი, ყველაზედ უფრო ნაკლებ რევოლიუციონერი და მით უმეტეს სოციალისტური. მისი იდეა ბურჟუაზიულია: პატარა სახლი სოფელში, იმ პირობით რომ შორს არ იყოს ღვინის სარდაფიდგან.»

სადა გვყავს ტიპი ასეთი ხალხისა? განა ჩვენ მუშას არა აქვს სახლ-კარი, ოჯახი? როდის იყო, რომ ქართველი სულიერად და მატერიალურად რუსის ბროდიაგას გაუთანასწორდა? მაგრამ თუ ქართველი არ გათანასწორებია, მაგიერში რუსული იდეებით გაჟღენთილი ნახევრად ქართველნი დიდი ხანია რაც გაუთანასწორდნენ და ქართველი ერი მათი გავლენისაგან განთავისუფლებას მოითხოვს.

ძალიან შორს წაგვიყვანდა, იმის დაწვრილებით გამორკვევა, თუ როგორ მოახვიეს თავზედ ჩვენს ხალხს ეს სოციალიზმი, რომელმაც მეორეჯერ რუსეთის უღელში გაგვაყოფინა თავი.

გადავიდეთ სოციალისტების მიზნის განხილვაზედ.

«რასაკვირველია სოციალისტებმა კარგად იციან, რომ არ ძალუძთ ყველას თანაბრად გამდიდრება, მაგრამ იმედოვნებენ, რომ უკიდურეს შემთხვევაში ყველას თანაბარ ღატაკებად აქცევენ». ამბობდა ლებონი ამ 25 წლის წინად.

«თუ არ შეიძლება ყველას გამდიდრება, დეე ყველა იყოს უბედური» გაიმეორა ვალიკო ჯუღელმა დამოუკიდებლობის დროს.

რუსეთის რევოლიუციამ აშკარად დაგვანახვა ამ სიტყვების სიმართლე. სწორედ იქ იყო ცდა ყველას თანაბრად გაღატაკებისა, მაგრამ სოციალიზმი აქაც უძლური აღმოჩნდა. თურმე მას არც ხალხის გამდიდრება შეუძლია, არც მისი თანაბრად გაღატაკება. მიუხედავად ამისა, ისინი ძლიერ მარტივ წინადადებებს იძლევიან, თავის მიზნის განსახორციელებლად.

«სახელმწიფოს ხელში უნდა გადავიდეს მთელი საწარმოვო, იგივე მოსპობს მემკვიდრეობითი გადაცემას ქონებისას და ამით ხელს შეუშლის კერძო პირთა ხელში ქონების დიდი რაოდენობით დაგროვებას.

«აუარებელი ჩინოვნიკების საშუალებით სახელმწიფო ან საზოგადოება, როგორც სოციალისტებს უყვართ ხმარება, გაანაწილებს ამ ქონებას მოქალაქეთა შორის.

«საზოგადოება თვით შეუდგება დამზადებას ყველა ნაწარმოებებისას. მცირეოდენი სურვილი ინიციატივის გამოჩენის, ინდივიდუალური თავისუფლების ან კონკურენციის გაწევის მაშინვე იქნება ჩაკლული საზოგადოების მიერ უსასტიკესი საშუალებებით.

«მოქალაქეთა მოთხოვნილებებში, სოციალისტების თეორიებით ყურადღება ექცევა მხოლოდ კვების აუცილებლობას და მაშასადამე საზოგადოების ზრუნვაც მხოლოდ ამ საგანს შეეხება.

«საზოგადოება ნაკლებ არის დაინტერესებული ხელოვნებით, მეცნიერებით და ყველა იმით რაც კულტურის საუნჯეს შეადგენს.

«მაშასადამე კულტურის აუცილებელი გაქრობა ასეთ საზოგადოებაში და ბარბარიზმის გამეფება.

«კერძო ინიციატივის მოსპობის გამო, მუშები ისე შეასრულებენ სამუშაოს, როგორც კატორღაში გაგზავნილი ტუსაღები, ზედამხედველის მეზუნჯელების ქვეშ. ჩინოვნიკების უზარმაზარი არმია დაიცავს მუშაობის, ჭამის და დასვენების საერთო თანასწორობას.

«იგინივე იზრუნებენ მომუშავეების სამუშაოზედ გარეკვაზედ, დასასვენებლად მიყვანაზედ, დაძინებაზედ და საჭმლის თანაბრად განაწილებაზედ.»

ასეთ წვრილმანებშიაც კი სახელმწიფოს ჩარევის გამო, შეიქმნებოდა უაღრესი დიქტატურა სახელმწიფოსი და საშინელი მონობა მუშებისა. მოკლედ ეს დაემსგავსებოდა გამასწორებელ სახლს, რომელშიაც ყოველგვარი წესიერება დამყარებული იქნებოდა ჩინოვნიკების მიერ.

ყოველი პიროვნება ასეთი საზოგადოებისა, მათემატიკ ბერტრანის განსაზღვრით იქნებოდა: «უვნებო და უნაკლო, არც სულელი არც ჭკვიანი, საშუალო შეხედულების, საშუალო განვითარების, კვდება საშუალო ხნის რომელიღაც საშუალო ავად-მყოფობით, რომელსაც სტატისტიკა მონახავს.»

აქ არ შეიძლება კაცმა მისწრაფება იქონიოს მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ან გამოსვლისაკენ, როგორც თანამედროვე საზოგადოებაში არის. ეს იქნებოდა უდიდესი ტირანია, რომელიც ძალით ათანასწორებს ყველას, წინ და წინვე საზღვრავს პიროვნებათა მოთხოვნილება-სურვილებს და თვითვე აკმაყოფილებს ყველას.

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაჟკაცსა გული რკინისა, აჯარიუნდა ხისა—ო.

დიდება სამშობლოსათვის განწირულთ! დიდება მებრძოლ საქართველოს!

მხედრის მოგონებიდან.

ის, რასაც ეს წერილი შეეხება არავითარ სახელმწიფოებრივ ან მთავრობის საიდუმლოებას არ შეადგენს. მე გულწრფელად და ლოიალურად ვემსახურე მთავრობას. ასე შესძლო ყველა მოქალაქის და მეტადრე სამხედრო პირის მოვალეობა ჩვენ ხანმოკლე დამოუკიდებლობის დროს, როცა ყოველ მხრივ მტერი ალყას გვარტყამდა.

არასდროს იმ საიდუმლოებას, რომელთა მოწმეც მე ვიყავი, საქვეყნოდ არ გამოვიტან. ეს ჩემი მოგონება დაახასიათებს მხოლოდ მმართველ პარტიის ხელისუფლებას და მმართველობის სისტემას.

1919 წლის ჯერ იანვარში და მერე თებერვალში ახალციხე—ჯავახეთის აჯანყებულმა მუსულმანობამ ჩვენი ჯარები დაამარცხა უდესთან და ახალციხესთან და ბორჯომს მოადგა. მდგომარეობა იმდენათ საშიში შეიქმნა, რომ თვით მთავრობის თავმჯდომარე, ჟორდანია ჩამოვიდა ბორჯომში საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად. მოსვლისთანავე თავის რონოდა—ხალდეში თათბირი გამართა, რომელსაც სხვა და სხვა სახელმწიფოს პირნი დაესწრნენ. სამხედროთაგან გენ. მაზნიაშვილი და მე დავესწარით. მე პოზიციაზე დროით ვერ მაცნობეს და კრებაზე ცოტა დაგვიანებით მივედი. ჩემს მისვლისთანავე ბატონმა ჟორდანიამ საუბარი შესწყვიტა და მომმართა: «თქვენის აზრით რა იყო მიზეზები აჯანყების და ჩვენი დამარცხების?»

მე მოვახსენე ბატონ მთავრობის თავმჯდომარეს ჩემი აზრი დამარცხების სამხედრო მიზეზებზე, რომლებზედაც აქ არ ვილაპარაკებ და უფრო ვრცლად შევეხე თვით აჯანყების მიზეზებს: ყოველ აჯანყებას აქვს ძირითადი და პირდაპირი მიზეზი. ახალციხე—ჯავახეთის მუსულმან მცხოვრებთა ჩვენს წინააღმდეგ აჯანყების ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ეს ხალხი თუმცა ქართველი მოდგმით, სჯულით განსხვავდება ჩვენგან. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ხალხის ცხოვრებაში და ფსიქოლოგიაში გადამწყვეტ როლს ჯერ კიდევ სარწმუნოება თამაშობს. გარდა ამისა რამდენიმე საუკუნით ჩვენგან ჩამოშორებამ შექმნა მათსა და საქართველოს შორის დიდი განსხვავება. ამიტომ ჩვენი მათთან დაახლოვების, შეთვისების, ეროვნული შედუღების პროცესი მეტად ფრთხილი და ბრძნული პოლიტიკის საშუალებით უნდა მოგვეხდინა. ხოლო, მთავრობა მოიქცა წინააღმდეგ. მან მოინდომა აგრარულ რეფორმის ძალით განხორციელება ამ პროვინციებში. ეს კი მათი შეგნებისათვის ეკონომიურ ვითარებისათვის მიუღებელი იყო. ამ პროვინციებში ჯერ კიდევ ფეოდალური წყობილება არ ებოდა, დამყარებული ურყევი ტრადიციებზე და სოციალურ დისციპლინაზე. აქ ჯერ კიდევ ბეგია ბატონი, რომელშიც გლეხ-კაცი ხედავს თავის ერთად-ერთ მფარველს და რომელსაც განუსაზღვრელად ენდობა. აგრარული რეფორმის ძალით, ბეგებს მიწები ჩამოერთვათ უსასყიდლოდ. ამან გამოიწვია ბეგების უთანხმოება, აჯანყება და მათ ერთხმად გაჰყვა ხალხი. ამიტომ პირდაპირი მიზეზი აჯანყებისა იყო აგრარული რეფორმა.»

ბატონმა ჟორდანიამ ყურადღებით მომისმინა მოხსენება და მიუგო: «მართალია, აგრარული საკითხის გატარება ნაადრევი იყო».. მაგრამ აქ ბატონმა ლეო რუხაძემ თავხედურად გააწყვეტინა მას სიტყვა. აქ უნდა ცოტა შევჩერდე და მოგახსენოთ ლ. რუხაძის ვინაობა.

ბ—ნი ლ. რუხაძე იყო მთავრობის კომისარი ახალციხე—ჯავახეთში. სწორედ მან გაატარა აგრარული რეფორმა იქ, მან მოახდინა მიწების ჩამორთმევა ანარქიულად უკანონო პირობებში. შედეგად გლეხებსა და ბეგებს შორის ჩამოვარდა შუღლი და სისხლი ე. ი. გაჩაღდა სამოქალაქო ომი. ასე ესმოდა ქვეყნის მართვა ამ ვაჟბატონს.

რუხაძემ დაახლოვებით ასე უპასუხა მთავ. თავმჯდომარეს: «ჩვენ სოციალისტები ვართ და ყველგან ჩვენი პროგრამა და იდეა უნდა ვახორციელოთ. გლეხს მიწა უნდა ბეგს კი ბევრი მიწა აქვს, მას უნდა ჩამოერთვას მას მიწა და მიეცეს გლეხს და ამიტომ ამ უკანასკნელს არავითარი პროპაგანდა და მომზადება არა სჭირია.»

აქ კი ბატონი ჟორდანია ცოტა არ იყოს გაწყრა და მკვახედ მიუგო რუხაძეს სიტყვა სიტყვით შემდეგი: «თუ პროპაგანდა არ არის საჭირო, თუ ხალხს შეუძლიან ესა თუ ის იდეა მოუმზადებლად მიიღოს, მაშ რათ ვიმუშავეთ ამდენი, რათ დავკარგეთ მთელი ოცი წლიწადი გურიის მზადებაში და პროპაგანდაში?»

მე ყურს უგდებდი ამ კამათს და გულ-ნაღვლიანი ვფიქრობდი ჩვენი ქვეყნის ბედზე, რომელიც ლ. რუხაძეების ხელში იყო. მართალია, ბატონი ჟორდანია ხშირად სწორედ ხედავდა რაც იყო და არ იყო საჭირო ქვეყნისათვის, მაგრამ უძლური იყო ებრძოლა სოც. დემოკრატიულ მასის წინააღმდეგ. მას ხელზედ მძიმე ბორკილები ედო და ამ ბორკილის თვითეული რგოლი იყვნენ ლეო რუხაძეები, ვიქტორ თევზაძეები და სხვანი.

ამ ბორკილებმა ის კი შესძლო, რომ მთელი თავისი სიტლანქით მძიმედ დაეცო საქართველოს და გასრისა მასში ეროვნული სულის ყოველივე გამომჟღავნება, შემოქმედება და როცა კარზე მოგვადგა ბარბაროსი მტერი, მან ქვეყნის დაცვა ვერ შესძლო, პირველსავე შემოტევაზე გასწყდა და უმეტესი ნაწილი მისი რგოლებისა მტრის ბანაკში გადაგორდა.

საბრალო საქართველო!!.

ლეო კერესელიძე.

«ჰსჯულსა უძლურად შექმნილსა, სთვლემს ცხეთას
გამოუფხიზლად
ერი ღაღადებს ვაებს, და ვერვინ აღსდგა საშველად.

გრ. ორბელიანი.

რედაქციისაგან: მკითხველისათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება, გაეცნოს წითელ ჯარის თვისებათ. განსაკუთრებით ქართველ მხედრებისათვის, რომლებმაც საფუძვლიანად უნდა იცოდნენ თუ როგორ არის მოწყობილი საბჭოთა—რუსეთის თავ-დაცვის საქმე.

ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა შეიძლება ცნობები რამოდენიმედ მოძველებული იყოს.

წითელი ჯარი.

საბჭოთა კავშირის სამხედრო სისტემის დახასიათება.

საბჭოთა კავშირის სამხედრო სისტემა, არის მუდმივი ჯარის და მილიციის სისტემათა ნაერთი. აღრიცხვის თანახმად ყოველ—წლიურად უნდა გაწვეულ იქმნან სამხედრო ბეგარის მოსახდელად 1 200 000 კაცამდე. თუ ამ რიცხვს გამოვაკლებთ სამხედრო სამსახურისათვის უვარგისთ დარჩება 850 000—900 000 კაცამდე, რომელთაც უნდა მიიღონ სამხედრო განათლება. ომის წინ, მეფის ჯარში ითვლებოდა 1 300 000 ჯარის-კაცი ყაზახებიანად.

(მცხოვრებთა რიცხვი აღემატებოდა 167 მილიონს ხოლო ყოველ- წლიური მატება უდრიდა 1,5 პრ.) მაგრამ თანამედროვე ხმელეთის და საზღვაო ჯარში ითვლება 562 000 კაცი.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჯარის ხელმძღვანელ და პოლიტიკურ შემადგენლობას და ორ—წლიან სამხედრო ბეგარის მოხდას, არ შეიძლება 270 000 კაცზედ მეტი გაწვრთნან ყოველ—წლიურად, წითელ არმიით, ფლოტით საზღვრების მცველ პოლიციით და სხვა ნაწილებით.

მაშასადამე დაახლოვებით ნახევარი მილიონი ჯარის კაცი რჩება სათანადო სამხედრო განათლების მიუღებლად.

მაშ კადრის ჯარის ნაწილებში ითვლებიან: ნახევარზედ ნაკლები ფეხოსანი და მსუბუქი არტილერია, თითქმის მთელი კავალერია, მძიმე არტილერია, ტექნიკური ნაწილები, ავიაცია და ფლოტი. დანარჩენი შეადგენს მილიციას. ტერიტორიალურ მილიციის სისტემის აუცილებელ პრინციპად ითვლება მისი წინასწარი სამხედრო მომზადება.

სულ 842 000 კაცამდე იღებენ ასეთ მომზადებას 4 500 მოსამზადებელ ცენტრებში. ამის გამო მთელი საბჭოთა—კავშირი დაყოფილია რამოდენიმე ცენტრალისტურ ნაწილებად. მათ გასაწვევ და მობილიზაციის მთავარ ორგანოებად ითვლებიან სამაზრო კომისარიატები. საბჭოთა—კავშირის ყოველი მოქალაქე, მოვალეა დაიცვას თავისი ქვეყანა, მაგრამ იარაღის ხმარების უფლება ეძლევათ მხოლოდ «მშრომელთ».

«არა მშრომელი» ელემენტები, (ქარხნის დირექტორები, მესაკუთრენი, ღვდელ-მსახურნი და სხვა.) მიმაგრებულნი არიან მილიციაზედ და ეწევიან ჯარის ზურგის გასამაგრებელ სამსახურს.

მშვიდობიანობის დროს ქალებს შეუძლიათ იყვნენ მოხალისენი, ომის დროს კი კომისართა საბჭოს უფლება ეძლევა მათი მობილიზაციის და სხვა და სხვა სამსახურში გამოყენების. სამხედრო ბეგარა სავალდებულოა ყველა მოქალაქეთათვის 19 წლიდან 41—მდე. და ის შეიცავს: **A** სამხედრო მომზადება გაწვევამდე. თითო თვეს 2 წლის განმავლობაში. ეს არის სამხედრო და პოლიტიკური განათლება, რომელსაც გაწვეულნი იღებენ ყოველ-წლიურად ერთი თვით სამაზრო ცენტრებში.

B) ნამდვილი ბეგარა 5 წლის ხანგრძლივობით. ის შეიცავს: 1) მოქმედ ნაწილებში: 2 წელი— ფეხოსანი, ცხენოსანი, არტილერია, «საპიორნი».

3 წელი —ავიაცია. 4 წელი— ფლოტი. შვებულება 1, 2 ან 3 წლით ნაწილების მიხედვით.

2) მოძრავ ტერიტორიალურ ნაწილებში პირველი წელი: 3 თვის მომზადება. დანარჩენი 4 წელი: 5 თვის მომზადება —ფეხოსანი, არტილერია. 6 თვის « »—«საპიორები»-ს და სპეციალური ნაწილების. 8 თვის « » —ცხენოსანი.

მათთვის ვინც ზემო ჩამოთვლილი კატეგორიებში არ შედიან, ხანგრძლივობა სამხედრო მომზადების უდრის ექვს თვეს. ეს ხდება სამაზრო ცენტრების საგანმანათლებლო პუნქტებში.

C) სათადარიგო ჯარი.

ამ ნაწილში რიცხავენ, სამხედრო ბეგარის მოხდის შემდეგ, ჯარის-კაცთ 28-დგან — 40 წლამდე.

მშვიდობიანობის დროს წითელი ჯარი დაყოფილია:
1—ლი: ჯარის სასოფლო ნაწილები.
2—ე: « » სასწავლებლის « »
3—: ზურგის დამხმარე ნაწილები ფრონტის მიღმით გასამაგრებლად. შეიცავს: სამხედრო ბეგარისათვის ვარგის მოქალაქეთ, რომელნიც სოფლის ჯარის ნაწილებში არა სასურველად არიან მიჩნეულნი, როგორც ბურჟუაზიული ელემენტები. ამ მიზნით ყოველ სამხედრო ტერიტორიალურ ერთეულებში შედგენილია მუშათა რაზმები.

4) სპეციალური ნაწილები. (უმთავრესად კომუნისტებისაგან შესდგება) **A**) მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს ნაწილები და ჯარის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები, რომელნიც ირიცხებიან სამხედრო კომისარიატის განკარგულების ქვეშ, ხოლო მათი ამოქმედება დამოკიდებულია ადგილობრივ სამოქალაქო ხელისუფლებაზედ.

ერთი დივიზია იმყოფება მოსკოვში, კომისართა საბჭოს განკარგულებაში.

B) საზღვრების მცველნი.

(გაგრძელება იქნება.)

შეფიცულებს.

როს უიმედო ცრემლების ზღვაში,
გვმატებოდა წყლულზედ — წყლულები.
თქვენ მოევლინეთ სამშობლოს მაშინ,
პატარა გუნდი — შეფიცულები.

ამოიმართნენ გმირთ აჩრდილები,
ბრძოლის საყვირით უხმობდნენ მებრძოლთ,
რომ საქართველოს თავის შვილებით
თავისუფლების სურვილი ეგრძნოთ.

წინ წამოგიძღვათ ბელადი ლაღი.
გამოეზარდა იმერის მდელოს,
და ჩამორეცხეთ სირცხვილის დაღი
მარად ქედ—მაღალ, მხნე საქართველოს.

აფეთქდა გრძნობა და სიყვარული,
სამშობლოსადმი ხანგრძლივ რომ სდუმდა,
თქვენ დაამტკიცეთ, რომ საქართველოს
მკლავი მებრძოლი არ მოუდუნდა.

ამ საუკუნის ძეგლად დარჩება
ქართლოსის ძეთა სულის-კვეთება:
სიტყვა ქაქუცა და შეფიცული
მარადისობას გადაეცემა.

დევნილი.

(გაგრძელება)

ბურდო ამსგავსებს ასეთ ორგანიზაციას, პარაგვაის იეზუიტების ორგანიზაციას, ხოლო ავგუსტ ლე ონი კი, მონა ნეგრების ორგანიზაციას პლანტაციებზედ მუშაობის დროს, ხოლო ზანგეში, ზოგიერთი უფრო შორსმჭვრეტელი სოციალისტები მიხვდნენ, რომ ასეთი ორგანიზაციის მოწყობას, ყველაზედ უფრო ძალიან ხელს უშლის დაბადებიდგან თანდაყოლილი უთანხმოებანი, რომელთა წინააღმდეგ ყოველთვის ყოველგვარი კანონები და ზომები უნაყოფონი იყვნენ.

მათის აზრით, ზემო-აღნიშნული ორგანიზაციის მოწყობა შესაძლებელი იქნება, მხოლოდ მას შემდეგ თუ ყოველ ეპოქაში შეუდგებიან თან და თანობითი მოსპობას სოციალისტების მიერ განსაზღვრულ გონებრივ დონეზედ მაღლა მდგომ პიროვნებისას. დიახ, მხოლოდ მაშინ შეიძლება გონებრივ უთანასწორობაზედ აღმოცენებულ სოციალური უთანასწორობების მოსპობა, მაგრამ ამის განხორციელების შესაძლებლობა, ხომ იმასვე უდრის, რასაც სიტყვების მიმართვით ჩანჩქერის მიმართულების შეცვლა?!

ქართველო ერო! აი ამ მახინჯი მიზნების გამო გაჟულიტეს შენი საუკეთესო შვილები. ამ მიზნის განსახორციელებლად გაგაიარაღეს სულიერად და ევროპის თუ რუსეთის დემოკრატიისაკენ გაშვერინებენ დასახმარებლად ხელს.

ხან და ხან, როდესაც შენში კვლავ იფეთქებს ძველი ძალა, ქართული გულადობა და იმარჯვებ, «შენი» სოციალისტები არ აყოვნებენ, რომ ის მენშევიზმის გამარჯვებად გამოაცხადონ, ხოლო როდესაც, იმავე მენშევიკების წყალობით მარცხდები, მაშინ როგორც ერს ისე გამარცხებენ.

გამოდის, რომ ქართველ ერს, მხოლოდ დამარცხების განცდა შეუძლია, გამარჯვება კი მარტო მენშევიკების ხვედრია...

შენი პატრონ-პატრიოტების უფლება მათ ჩააბარეს ხელში, ვისაც სამშობლო, ერი, სარწმუნოება, ოჯახი გარდამავალ ხანად მიაჩნია, საბოლოო მიზნის სოციალიზმის დიქტატურის განსახორციელებლად.

განა არ დამდგარა ჯერ დრო, რომ უთხრა პირდაპირ: —«ჩემი განთავისუფლების საქმე მან ჩაიბაროს, ვისთვისაც მე წმინდათა-წმინდა ვარ. ვისთვისაც გარდამავალი კი არა უკვდავი და უბერებელი ვარ?

დიახ! დროა დაკარგული იარაღი, ძლიერი რწმენა შენი თავისადმი, ისევ ჩაიბარო და ყოველ-გვარი არამკითხეები მოიშორო თავიდგან.

დოლიძე.

«ხმა საიდუმლო მარად ჟამს მეჩურჩულების მე ყურსა ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა.»

გრ. ორბელიანი.

ჩვენ და თქვენ.

(გაგრძელება.)

ყოველი ქართველისათვის, რომელსაც თვალები არ დაბრმავებია, მისთვის აშკარაა თუ რას წარმოადგენდნენ და რას წარმოადგენენ სოც. დემოკრატები.

ყოველმა ქართველმა, რომელიც ბუნებრივად არჩევს თეთრს შავისაგან, უკვე იგრძნო თუ რა დამანგრეველ საქმეს აკეთებდნენ საქართველოში სოც. დემოკრატები და როგორ დააბოლოვეს თავისი ბოროტი საქმიანობა.

სოც. დემოკრატებმა ადვილად ჩაიგდეს ხელში საქართველოს მმართველობა, იმიტომ რომ მათ დაეხმარა: 1) რუსეთის რევოლიუცია და მისი აღვირ—ახსნილი «სალდათები». 2) მათ ძალიან კარგად შეითვისეს ინკვიზიტორ ლოიოლას პრინციპი: «მიზანი საშუალებას ამართლებს» 3) და მათ მოწინააღმდეგეებათ გამოვიდნენ პოლიტიკურად უსუსურნი ნაც. დემოკრატები.

ჩვენ არ გვინდა შევჩერდეთ ამ წერილში სოც. დემოკრატების წარსულ ნამოქმედარზედ. მათი ბატონობის სამი წელი საქართველოში და 1921 წლიდან დღემდე ყოველი მათი ნაბიჯი არის ძალადობა საქართველოზედ, რომელსაც არ სწამს კარლ მარქსის ბოროტების სულით გაჟღენთილი სწავლა. ვიმეორებთ ჯერ-ჯერობით არ ვსწერთ, იმიტომ რომ გაზეთის ფურცლები საკმარისი არაა.

ნათქვამია: —«მითხარი ვის მეგობრობ და გეტყვი ვინ ხარ შენ».

ამის მიხედვით ადვილი ხდება ადამიანის განსჭვრეტა თუ გამოვარკვევთ, ვინ არის მისი ღმერთი?

ვინ არის ღმერთი «ამხანაგ» ნ. ჟორდანიასი?— მისი ღმერთი კარლ მარქსია, რომელიც ნაძალადევათ მოახვია ქართველ ერს. მისი სახელით სწამლავდა ათეულ წლების განმავლობაში ქართველთა გულში სიყვარულს სამშობლოსადმი, ინტერნაციონალიზმის ზედ-დამყნობით. აშხედრებდა ერთ ნაწილს ქართველ ერისას მეორეზედ და სთესდა მათ შორის შუღლსა და სიძულვილს.

ეხლა, ამ სიბერის ჟამს, როდესაც მის ღმერთ კარლ მარქსის დამღუპველმა მოძღვრებამ მოიტანა თავისი ნაყოფი და საქართველო სისხლიდან იცლება, იგრძნო თავისი ქართველობა, როგორც თვით ამბობს.

არა! ბატონო ჟორდანია! თქვენს ქართველურ გრძნობას და სიყვარულს საქართველოსადმი არვინ ერწმუნება.

შევეხოთ მის კერპს კარლ მარქს. იყო თუ არა ეს ადამიანი წმინდა თავისი ბრძოლის მეთოდებით, თუ ხმარობდა უკავურ, საზიზღარ მეთოდებს პროვოკაციის და ჭორებისას?

ამ კითხვების პასუხს მივიღებთ მისი ბიოგრაფიიდგან.

კარლ მარქსის მამა იყო გერმანელი ებრაელი, გვარად მორდუხაი. პირად სარგებლობის გულისთვის, ის მოინათლა და მიიღო გვარი თავისი ნათლიის, გერმანელი მარქსის.

ამ რიგად მორდოხაი გახდა მარქსი.

ვინ არ იცის, თუ როგორი სიმტკიცით იტანდნენ ტანჯვა-წამებას ებრაელები? ვინ არ მოიხიბლება ასეთი თავ-განწირვით? ისინი იტანჯებოდნენ, ადიოდნენ კოცონზედ, მაგრამ მამა-პაპურ სარწმუნოებას მაინც არ ღალატობდნენ.

მორდუხაი კი, მხოლოდ მისთვის, რომ გერმანულ საზოგადოებაში მიღებული ყოფილიყო და გაეუმჯობესებინა თავისი ნივთიერი მდგომარეობა გაწირა თავის სარწმუნოება, ამ გვარ ოჯახში დაიბადა კარლ მორდუხაი ე. ი. კარლ მარქსი, დამანგრეველი სახელმწიფოებრივ და ეროვნულ იდეების.

მოვიყვანთ რამოდენიმე დამახასიათებელ ცნობას მის ბიოგრაფიიდგან.

მისი შემწეობით დაარსებულ პირველ ინტერნაციონალში შედიოდნენ სხვა სოციალისტებთან ერთად ანარქისტებიც. ანარქისტთა შორის იმყოფებოდა ცნობილი რუსი ანარქისტი ბაკუნინი. ეს უკანასკნელი მუდამ მისი უკიდურესი მოწინააღმდეგე იყო და ძალიანაც ვნებდა.

კარლ მარქსმა იგრძნო თავისი სისუსტე ბაკუნინთან იდეურ ბრძოლაში და მიმართა საზიზღარ საშუალებას, რომელიც შემდეგში მის მიმდევრებს ტრადიციულად გადაეცათ: მან გაავრცელა ხმები, რომ ბაკუნინი რუსეთის მეფის ჯაშუშია.

ბაკუნინმა ეს პროვოკაცია გამოაშკარავა და მოსთხოვა პასუხი კარლ მარქსს, რაზედაც მან ვერ უპასუხა.

გაცოფებულმა ბაკუნინმა მას საჯაროდ «ქეციანი ურია» უწოდა.

არა ნაკლებ საინტერესოა კარლ მარქის ლაჩრული საქციელი პარიზის კომუნის დროს.

იმ დროს, როდესაც მისი პროპაგანდით მოწამლული მუშები ბარიკადებზედ ათასობით იხოცებოდნენ, დამფრთხალმა კარლ მარქსმა ლონდონისაკენ გაქუსლა.

ასეთი უნდა თანამოსანგრე! ბელადიც ამას ჰქვია! აი როგორი არის ღმერთი სოციალ დემოკრატების.

მიუდგომელმა მკითხველმა თვით განსაჯოს თუ რას უნდა წარმოადგენდნენ სოც. დემოკრატები.

ზოგიერთ ქვეყანაში მისი მოწაფეები მასზედ შორს წავიდნენ და თავის იდეურ მოწინააღმდეგეებს სიცოცხლეს უსპობენ დაქირავებულ კაცის მკვლელების საშუალებით, ხოლო პროვოკაციის მხრივ მოწაფეებმა გადააჭარბეს თავის მასწავლებელ კარლ მარქსს.

აი ვინ ბრძანდებით თქვენ, სოციალ—დემოკრატები!

დიმიტრი ჭიაბრიშვილი.

«ჰე ივერიავ ვიდრე იყო ქედ-მოდრეკილი,
ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გთარშიდეს ძალი,
რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხმალთა გრიალი
ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი!»

გრ. ორბელიანი.

მათი უკანასკნელი სიტყვა და საქმე.

ჩვენი სოციალ-დემოკრატია მათი ბელადის აღნიშვნით მიდის «არც მარჯვნივ არც მარცხნივ, პირდაპირ სოციალიზმისაკენ», ანუ არარაობისაკენ.

ამ წერილით ჩვენ ვერ შევეხებით მათი ბელადების ძველ გზიდან მოშორებას. ისინი არც ისე ურწმუნონი არიან რომ უღალატონ თავიანთ ხაზს. ასეთი მხილება, როგორიც ჩვენ აქ მოგვყავს, მათ ბევრჯელ მოუსმენიათ, მაგრამ ამაოდ. ისინი მაინც ჯიუტად თავისას განაგრძობენ. ნათქვამია: «არ გათეთრდება ყორანი რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა». ჩვენ მხოლოდ იმ ქართველებს მოუწოდებთ, რომელთაც უყვართ სამშობლო და ჰგონიათ სოც. დემოკრატიის პოლიტიკური ხაზით მიიღებს ჩვენი ქვეყანა ხსნას.

ვიწრო პარტიული ფანატიზმის გავლენით სოც. დემ. სწორედ ვერ ხსნიან წამოჭრილ მოვლენებს, რადგან ცხოვრება სოც. დემოკრატების მიერ ფანატიკურად მიღებულ დოგმებს ეწინააღმდეგება. ეს ნათლად გამოირკვა მათ მოღვაწეობაში, რომელთაც ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა დააკარგვინეს.

მათი ბელადი ამტკიცებდა, რომ მიდის არც მარჯვნივ არც მარცხნივ, პირდაპირ სოციალისტურ სამოთხეში. სინამდვილეში კი ქართველი ხალხი თავისუფლებას მოაშორეს და ჯოჯოხეთისკენ გააქანეს. დღესაც იმავეს იმეორებენ, რასაც საქართველოში სჩადიოდნენ.

ხდება დაპირდაპირება მათი პარტიული ფრაზეოლოგიისა და სინამდვილისა. გავარჩიოთ მათი უკანასკნელი სიტყვა და საქმე და აშკარად დავინახავთ მათ შეცდომებს.

გაზ. «ბრძოლის» უკანასკნელ ნომერში მოთავსებული იყო წერილი «მაისობაზედ». ავტორი პირველ მაისს, როგორც პროლეტარიატის დღესასწაულს და 26 მაისს ქართველი ხალხის კვლავ აღდგენის დღეს სიტყვაკაზმულათ ერთმანეთს ახმატკბილებს და ადარებს.

სად 26 მაისი და სად პირველი?

იქნებ მთელი ქართველი ხალხი იმ ფიზიკურ მუშების ნაწილად გადაიქცა, რომელმაც პირველი მაისი თავის უქმედ გამოაცხადა და ამით 26 მაისთან ერთად ეს დღესასწაულიც ქართველ ხალხისათვის ერთია.

მიზეზი მათი ფანატიკური მცნებების სიყალბეა.

პირველი მაისი ჩვენში არ არსებულა პროლეტარიატის საზეიმო დღე და თუ ვინმეს სურს იუქმოს ეს დღე, საქართველოში ნება დართულია, რუსეთის ტირანია თვითონ უწყობს ამას ხელს. 26 მაისი კი, არსებული ქართველი ერის უქმეა და მტრისათვის სრულიად მიუღებელი. ამ ორი დღესასწაულის შეერთება სოც. დემ. მიერ ყალბი პატრიოტიზმის შედეგია.

თუ ჩვენში ვინმე იჩაგრება ზედმეტად, მათი დაცვა ჩვენთვის, ყველასათვის სავალდებულოა და რა საჭიროა ამისთვის წერილის ავტორისაგან მთელი ერის თავდაყირა დაყენება და პირველი მაისის 26 მაისთან გათანასწორება?!

მათი საქმეც ამ ფანატიკური ლიტერატურის შედეგია.

მხედველობაში გვაქვს მე 2 რე ინტერნაციონალის აგვისტოს ყრილობა, რომელზედაც დაესწრნენ მთავრობის წევრები იგივე სოციალ-დემოკრატიის ბელადები და მათი დამატება ფედერალისტები. აშკარაა, რომ მისია ინტერნაციონალისა არის სოციალისტური მოძრაობის გაერთიანება პროლეტარიატის სახით, სოციალიზმის მისაღწევად. ამ პრინციპის სამსახურისათვის ის ებრძვის ეროვნებათა სხვადასხვაობას, სცდილობს გახდეს პროლეტარიატის საერთო სამოქმედო ცენტრად, რაც დევიზში «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით» გამოიხატება.

ინტერნაციონალში მეფობს მარქსიზმის სული, რომელიც ამბობს: «მუშებს არა აქვს სამშობლო და სხვა.»

ამ პრინციპებიდან გამოდიან, როდესაც მოითხოვენ ბოლშევიკებთან დაახლოვებას და იცავენ მათ ყოველგვარ თავდასხმიდან (გამოსვლა ოტტო ბაუერის, ლენსბერის და სხვათა).

მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგობა კომუნისტების მიმართ თან-და-თან კლებულობს, რაც საქართველოს დაცვის საკითხში აშკარად სჩანს.

ქართულ სოციალისტურ პარტიების მონაწილეობა მეორე ინტერნაციონალში ჰბადებს გადაჭარბებულ იმედებს ქართველ ხალხში, თითქოს მეორე ინტერნაციონალს შეუძლია საქართველოს განთავისუფლება!!! ჩვენს სოციალისტებს ეს სჭირდებათ მხოლოდ თავის პარტიულ ჰეგემონიის შენარჩუნებისა და ფანატიზმის გაძლიერებისათვის.

ჩვენ ვამბობთ, რომ ქართველ «პროლეტარიატს» სამშობლო აქვს და მისი მეორე ინტერნაციონალისადმი სამსახური აშორებს მას ეროვნულ და კლასიურ თავისუფლებას.

მისი წევრები ბოლშევიკურ რუსეთის ბატონობას აკანონებენ ჩვენში, როდესაც ებრძვიან ეროვნულ შეგნების გაღრმავებას და იმ საშუალებებს, რომლითაც შეიძლება მათი მოსპობა ჩვენში.

ჩვენ ვამბობთ, კულტურა ყოველთვის ეროვნულია. ერის გარეშე ის არ არსებობს და წარმოადგენს ერთ მთელს. ქართველი ხალხის მოქმედება იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ჩასწვდეს სიღრმეს თავის კულტურისას, გაიგოს მისი ძალა და დაირაზმოს მის გარშემო. მაშინ გამოჩნდება უტყუარი გზა თავისუფლებისა, რომელსაც ქართველი ერი გაჰყვება.

ირ. ოთხმეზური.

ღია ბარათი ტფილისს.

მივალთ მაყრებათ შენი ბედის ჯვარისწერაზე,
როცა იქცევა სინამდვილეთ შენი ზმანება
და საქართველო გამარჯვების ახალ [illegible]
მზის სალოცნებო მწვერვალებ[illegible]
მაგრამ მანამდე — თუ ისურვებს ვინმე ბოროტი,
მოჰკლას, გადასწვას — შენი ღმერთი, შენი სიონი,
მაშინ ჩვენ რისხვას გეფიცები საქართველოთი —
ვერ შეაჩერებს ვერც მტრის ტყვია, ვერც სტიქიონი!
გახსოვდეს მუდამ: ჩვენი შვება ჩვენ ხელშივ არი,
და თუ ქიშპობა არ დაამსხვრევს ჩვენ ქვეყნის ლოდებს,
მალე საფლავში გაიღიმებს ისევ თამარი,
და გვწამს ილიაც თავის მკვლელებს ხელს გაუწოდებს.
მაშინ, ტფილისო! შეგიყვარებს ბედის ვარსკვლავი,
მოვა რაინდი შორეული და უსახელო...
იცოდე არ გვაქვს არავისთვის დასამალავი:
ორთავ ჩვენია — მომავალი და საქართველო.

ვენა. 1928. **N.N.**

«მეობარი»-ს «ქართველი ქალი»-ს გაგრძელება დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

შეცდომების გასწორება.

მე 13 ში 4 გვერდის მესამე სვეტში უნდა იყოს: ცხრა ძმანი ხერხეულიძენი დაიხოცნენ მარაბდის ველზე.

ამ 14 —ში მეორე სვეტის ბოლოდგან მე-5-ე სტრიქონზე დაწერილია: «. , რომლის ავტორად «ნემედას» უნდა იყოს —თქმულების ჰომეროსი მიაჩნდა.

მესამე სვეტის 14 სტრიქონზე დაწერილია: «აღმოსავლეთმა ბევრ საუკუნეთა განმავლობაში ისაზრდოვა იმ «ელინიურ» უნდა იყოს — ელინისტურ ცივილიზაციით

Rédaction : THETHRI GUIORGUI. 93, Rue Mademoiselle PARIS (XVe)

Le Gérant : Félix KALDENPACH

Imp. ZINDY-PETER - Audincourt